

და დემოკრატია. მათი ცხოვრება ავტუელი იყო მონაბაზე, ერთმანეთს ებრძოდენ მხალოთ ქონებრივი უპირატესობისათვის. ზ, აი, რომის ხალხი არა ერთხელ აჯანყდა (მათა გრაცების და კატილინას თაოსნობით) არისტოკრატის წინააღმდეგ, მარა ყოველთვის ამით, ღარიბის კიდევ უფრო გაღარიბება, მდიდრის კიდევ უფრო გამდიდრება, ქონების მცირე რიხების ხელში მფაროვება და საერთო დაფრთხილება—აი, რა გზაზე გაეჭანა ეს უზარმაზარი სამეფო და ეს ვერ შეაჩერა ვერავითარ პოლიტიკურ ცვლილებამ. ამასთანავე საზღვრებს შემოადგენ უფრო ძლიერნი მტერნი, ვინემ წინეთ და რომი, იმის მაგიერ, რომ სხვას შეესიოს, იძულებული შეიქმნა სხვების შემოსევისგან; თვით დაცეა. ამ გარემოებამ შეამცირა ტყვეთა რიცხვი, გააძვირა მონები და მით წარმოების საძირკველი შეგარა. მემამულემ ვერ იშოვა საქარისა მუშათა ხელი და დაიწყო უცხოეთდან მოსულ ხალხზე მიწის ქირით მიცემა. ბიუროკრატული ზომებით ეს ახალი მეთრნე მიწას მიაკრეს და მით ჩაყარეს მომავალი ბატონ-ყმობის საძირკველი.

ამ წიარათ, გადაშენება გლენ-კაცობის, ვალატაკება დემოკრატის, ვათასხრება არისტოკრატის—ერთი სიტყვით საერთო დაფრთხილება, საერთო გაცოტრება—აი, რა მდგომარეობაში ჩავარდა რომის იმპერია. ასეთ პირობებში ჩაყენებულ ხალხს აღარავითარი იმედი არ აქვს ამ ქვეყნით სამუალებებზე; მისი მხედველობა მიმართულია ზეით, ზეისაკენ და იქიდან მოვლის ხსნას, სასწრაფოებრივ განკურნებას. ეს აზრი თანდათან ღვივდება და ფეხს იკიდებს ხალხში. ის ამ ქვეყნის მიერ უარყოფილი და დაჩაგრული იმ ქვეყნიდან ელის მშველელს. ზ, აი, რომის იმპერიის შორეულ ნაწილში, ურასტანში, კიდევ ვაისმა ეს ზეციური ხმა: „შევიყარე მოყვასი შენი, როგორც თვით შენი“, ადელი ასი მდიდრისთვის ნენმის ყურში გაძებრება, ვინემ სასუფეველში შესვლა; „უკეთუ ვენაგებს, რათა სრულ იყო, წარედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახკათა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემომიდგე მე“. და ყველა ტანჯულის და გამწარებული შეუღვა ქრისტეს. ქრისტიანობის საფარველ ქვეშ ჩქარა მოიყარა თავი ხალხის გაკრთებულ და დაუძრ უბედურ ნაწილმა. ქრისტიანთა პირველი საზოგადოება აშენდა ქონების საერთო მფლობელობაზე. კერძო საკუთრების უარისყოფა და მის აღაგას საზოგადო საკუთრების დაყარება—აი, პირველ ქრისტიანთა ლტოლილება. და იმით ისინი საზოგადოთ აკანონებდენ იმას, რაც კერძოთ მათში უკვე დაკანონებული იყო. ისინი, საკუთრების მოკლებულნი, უარ ჰყოფდენ საკუთრებას სხვისთვისაც. აი, როგორ არის აწერილი ერთი მათი საზოგადოება

„სამოციქულოში“: „... რაცა ერთმან ვინ თქვას მონაგები მისი თესად, არამედ იყო ყოველივე მათ და ზოგად... და არავინ იყო ნაკლულევან მათ შორის; რამეთუ რომელნი იგი პოვნიერ იყუნეს სახლებისა, გინა დაზნებისა, განმკუდდეს და მოაქუნდა სასყიდელი განსყიდულთა მათ, და დაღებდეს ფერხთა თანა მოციქულთასა, და მიეცემადა კაცს კაცსა; რაცა ვინ უხმდა“. (თავი 4. 32-35). ცხადია, ერთათ ცხოვრება, ქონების ერთათ მონაბრება, ერთი უღელის გაწევა—შეადგენდენ ამ საზოგადოების ძირითად თვისებებს. ეს იყო იმავე დროს არსებული წყობილების უარყოფა, კერძო სიმდიდრის გაუქმება, შეძლებულთა წინააღმდეგ აჯანყება და მცენი ამას არ დატოვებდენ უყოფარღებოთ. ატყდა ამთ შორის სასტიკი ბრძოლა. ქრისტიანობამ თან-და-თან მოიღვა ფერხ, განსაკუთრებით ქალაქის ხალხში, ასე რომ სოფლელი ნიშნუად არა-ქრისტიანს (Ioganus — კერპთაყვანისმცემელი—ლათინურათ სოფლელს ნიშნავს). ამიტომ ქალაქი ვაზდა ბრძოლის ველათ. ერთი მხრით ქრისტიანნი, აღკუთრეილნი მტკიცე რწმენით, ამხანაგური დახმარებით, ზნობრივი ძალ-ღონით, მეორე მხრით არა-ქრისტიანნი, აღკუთრეილნი შეძლებით, გავლენით, პოლიციით, მხედრობით, სახელმწიფოს მთელი ძალ-ღონით—აი, ვინ გამოვიდენ ბრძოლის ასპარეზზე, აი, ვინ შეეცაკენ ერთმანეთს. ციხე, წამება, ჩამოხრჩობა, დაწვა—იყო კუთვნილება ქრისტიანთა, ამ თავ-განწირულ რევილიუციანერთა. მარა ვერავითარ ზომებმა ვერ შეაჩერა ხალხის ახალი მოძრაობა. ვინ იც-ს, რამდენი კაცი გამოასალმეს წუთისთაფელს, მხალოთ იმითომ, რომ ის სხვანაირათ ფიქრობდა, მას სხვანაირათ ჩწამდა, ვინემ სახელმწიფოს ხელ-მძღვანელთ! რამდენი უმწიკო ადამიანი საპრობოლელში დალაგეს, სახარზობელად ვეგზავნეს მხალოთ იმიტომ, რომ ის მძობას და ერთობას ქადაგებდა! ასეთ მასეულ ომში განვლო სამმა საუკუნემ. ქრისტიანობა კი გაძლიერდა, გაერკედა და ბოლოს მთელ ხალხს მოეღვა. ხმა ვრ-სა—ხმა ღვთისათა, მას ევლარაფერი უღდება წინ. მეოთხე საუკუნის დასაწყისში სახელმწიფო ძლევით იქმნა, გუზნილელი რევილიუციანერი დღეს კანონიერ კაცთ ვადიპიცა, ქრისტიანობა კანონიერ მოძღვრებათ იქმნა აღსარებული და სახელმწიფო სარწმუნოებათ ცნობილი. ახლა კი ქრისტიანობა მიიღეს არა მარტო ღარიბებმა, არამედ მდიდრებმაც, ქრისტიანთა საზოგადოებაში შევიდა სხვა-და-სხვა მდგომარეობის და შეძლების ხალხი, და აქ ატყდა მათ შორის ირეტრესთა წინააღმდეგობა და თანხმათ ამისა ბრძოლა. მდიდარ-ქრისტიანებმა სრულებით არ უარჰყვეს თავისი სიმდიდრე, როგორც ამას ღარიბი ქრი-

სტიანები თხოულობდნენ. პირიქით, იმათ თავისი ქონებით მეტი გავლენა და პატივი მოიპოვეს ქრისტიან სახელმწიფოში. მათ წინააღმდეგ ამათ იბრძვიან წმინდა მამები, როგორც მაგ. ვასილი დიდი და იოანე ოპროპრიი. ამათ სიტყვა, მდიდართა წინააღმდეგ მიმართული, რჩებოდა და დასჯა კი მათი მუდმივი ხედვრია. აშკარაა, ქრისტიანთა პირველი საზოგადოება მოისპო და მის ალკას სხვათაირი განწყობილება ჩაღვა. საეკლესიო საქმეები გამრავლდნენ, გართულდნენ და საჭირო შეიქნა მოსამსახურეთა რიცხვის გამრავლება. ამათ დაეინიშნა ჯილდო და ვაზენი ხალხისაგან დამოუკიდებელი. ყველაზე უფრო შემღებული კუთხის ეკლესიის წინამძღვარი იყო ყველაზე უფრო მღვდარი და გავლენიანი. აქედან ცხადია, თუ რომის ეფისკოპოსმა ჰატომ მოიპოვა უპირატესობა და ვაზდა დასავლეთი ეკლესიის ერთადერთ მეთაურათ. რომის სამეფო დანგრია გერმანელებმა, მარა ამით სრულიადი არ დაწვრიულა რომის პაპის უფროსობა. პირიქით, ის უფრო და უფრო მტკიცდება, მატულობს და ძლიერდება. ასეთ არეულ დროში მხოლოდ ეკლესია იყო დაყენებული მაგარ საუფლებლზე, მხოლოდ აქ იყო ორგანიზაცია, გავლენიანი პირები, და რალა გასაყვირველია, თუ ყველა არეულ და უგზო-უკვლო აღძვირთ აქ მოეწინაა თავ-შესაფარი. ამას გარდა, სამართით ევროპას ემტკრებოდნენ არაბები და სხვა უცხო მტერნი, ვინ იტყვირთებდა მათთან ბრძოლის თაოსნობას, თუ არ რომის პაპი? აი, ამ ორ გარემოებაში—რომის კულტურულ უპირატესობაზე მტერთა შიშმა—გაძლიერა პაპი და მას დაუქვემდებარა მთელი დასავლეთი ევროპა.

მარა მეცამეტე საუკუნიდან შეიცვალა ორივე ეს გარემოება. კულტურულით წინ წაიღდნ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხ. და გვერდში ამოუდგნ რომს. ხალა მტერთა შემოსევა აღმოსავლეთის მხრით დაიწყო. ოსმალური სამიშარი იყვევენ საბერძნეთის, რუსეთის და სხვა სლავიანთა ქვეყნებისთვის და არა რომის და დასავლეთ ხალხთათვის. ამ ნაირათ, პაპის ეკლესიას ფეხიდან გამოეცალა ის ნიადგი, რომელზედაც აშენდა მისი ძლიერ-მასილობა და დაიწყო რყევა. ამასთანავე ფულის ტრიალი გაძლიერდა და რომის პაპიც მთელ ევროპიდან ხარკს კრეფდა, როცა ეს არ იქმარა, გამოსცა რალა კვიტანციები, რომელთა მიდევით ცოდვები ეპატეზოდათ (ინდულგენცია). პაპის აგენტები მოეფეა ევროპას ღეპიდენ ამ ფაჩატრნა ქალადებს. ყოველმევე ამან დაადარიბა ხალხი და შეაძულა მისი მყელეფაი რომის ეკლესია. და კიდევაც გაისმა ხმა: ძირს პაპის ბატონობა, გაუმარჯოს თავისუფლებასო! წარ-

მოიშვა რეფორმაცია, დასავლეთ ევროპის ეკლესია გაიყო და მისი ერთი ნაწილი სრულიად გამოშორდა რომს. ამან გამოიწვია დაუსრულებელი სისხლის ღვრა რომის მომხრეთ და რომის წაწინააღმდეგეთა შორის. მგლოს მაინც გაიმარჯვა თავისუფლების დედა აზრმა და ევროპაში დაკანონდა სარწმუნოებრის თავისუფლება. ადამიანს უფლება მიეცა, რა სარწმუნოებაც უნდოდა, ის მიეღო. სენიდილის თავისუფლება, რწმენის პატეის ცემა, აზრის ხელო-შეუფებლობა—აი, ამ ხანგრძლივ ბრძოლის შედეგი, აი, რა საძირკველზე აშენდა დღევანდელი ევროპა. მარა ჯერ კიდევ შარს არის ნაძლიერ ძიობა და კაცთა შორის ერთობა, ე. ი. ჯერ კიდევ შარს არისის, რასაც ქრისტე ქადაგებდა და რომლის აღდგომა ამ ძიობის და ერთობის აღდგომას ნიშნავს..

ნ. ყორანას.

დაკვმეს და აღდგა.

სინც ფარისეველთ ცრუ ქადაგებას წინა აღუდგა შემუგარადა, ვინც სიმაართესა ქვეყნათა თესდა, ბორატებასა დევნიდა მარად..

ვინც სიბნელესა ნათელსა ჰქონდა, აღუტრეილ იყო დიად მცნებთა; ხალხში ვიღოდა—სასოწარკვეთილთ გულს უშსკეალოვად სასოებთა..

ვინც აერკვლებდა ქეშმარიტ აზრსა, რომ ხალხსა ევლო სინათლის გზაზე მას უმაღურმა, უგნურმა ერმა სიყდილით დასჯა არგუნა ჯეარზე..

წარვიდენ წედნი და სიბნელემა ევლარ დაჰჯარა სინათლის სხივნი, გამოაშუქა სიმაართის ძალით თავზე დაადგა ძლიეის გვირგინი!

და ამ გვირგინის წინაშე ერმა მუხლი დახარა თავყან-საცემოათ, და ეამბორა იმ ჯეარს, სად მხსნელმა სისხლი დაღვარა ჩენდა სახსნელათ..

პ. გოგოლაძე.



აღდგომა და შიშთვილება

I

სრა და არა. თუ შენ გინდა ნათობდე და კაშკაშებდე, ჩვენც აგრევე გესურს. მაშ შენც ამოეფარე ღრუბლებს, პირს შავი საბურავი მოიბურე და ჩვენც დაჩუბდებით, შევეწყვეტთ შოხალ-ბიბინს, — შესახა მთავრის ტყე-ვეღმა და, ამაყთ დონიჯ-შემოდგომულმა, თვალთ ვადავლო ახლათ აბიბინებულ მდგლოს, თითქო ეკითხებოდა, — რას იტყვი, ჩემო პატარებო, ხომ საკადრისი პასუხი მიეცი ღამის მანათობელ მეფესაო.

— მართალს ამბობ, მართალს, — დავიწმა მდგლო და თითქო კარუს წიწილები შემოხვევიაო, ყოველმა მცენარემ გაიწაწაბებოთ და წყო დედის ფრთებ ქვეშ სხიპანი. — თუ მაგას, მოხუცს არა ბეზრდება დაყვარდ ცის კამარაშა ცურვა-სრიალი, ჩვენ რა დაბალი ღობე ვართ, რომ ჩაეჩუბდეთ და ჩაეკედეთ — წამოიძახა მდგლომ და ბავშური თავ-დაუქვროლობით მოართო ხტუნვა კუნტრუში.

— დაჩუბდით, დაჩუბდით! — გამივარა მთვარემ და საშინლათ შეტორტმანდა.

— შენ თითონ დაჩუბდი, ბებრუბანაჲ! ერთხმათ შესახა ქვეყანამ, ერთი შეფართქილდა და ბუნების ფერხულში ჩაება.

განრისებული მთვარე ისარივით შესრიალდა სქელ ღრუბლებში.

აქამდე თავ ხედათ მოყაყამე ტყე ეელი დაჩუბდა... ათას ხმოვანათ აქლურტულვებული მდგლო ისე გაინაბა, თითქო ალაღთა გუნდს შევარდენმა ჩამოუტროლაო. მუდამ წამს მოუსვენრათ მსროლობა ნიავმა სული გატერინა, მაგრამ იცოდა თავისი მოუსვენარი ხასიათი და იმის ნაცლათ, რომ ჩვეულებრივი სიგიჟით განაეარდებოდა სხვა მხარეს, — თავი ძირს დახარა, თითქო ქურდობაზე მიასწრისო, გაძვრა-გამოძვრა მდგლოთა შუა, რაღაც წაიჭრისულა აწიწანებულ ევლს, იას ხელი წაუტატუნა ყბაზე, კრძალვით ეამბორა და გაქრა, ვიპარა... ია-იკ ერთოდა... კითოდა, კანკალედა, დაჩერებოდა მიწას და ჩვეულებრივით აღარ ილიმეოდა, არ კკლუტობდა...

მიჩუმდა არე-მარე... ბუნებაც, ეს მარადის მოუსვენრათ მოტრიალე ჩარბი, ისე მოაზიბოდა, მოაჯადოდა რაღაცემ, თითქო სამუდამით შეწყვიტა თვისი ძარღვის ფეთქევა; იღვა წარბებ-შეკმუხნელი, ხმა გაკმინდლი ზე რაღაც საოცარს, უჩვეულებრივოს ეკოდა. ავერ, უცრათ შემრიალდა ბუჩქნარი... თითქო ფეხ-აკრეფით მოდის, მოიპარება, მაგრამ თითქო პირველათ ხედავს ამ ადგილსო, ევლარაფერს ცნობილობს! აღარც ახლათ აბიბინებულ მდგლოთა

საამო სუნენლება, აღარც ცა-ქვეყნის საიღუმლო, ჩურჩულ-კამათი, ერთი სიტყვით, აღარაფერს არ ეტყობა წინანდელი ელფერი... ბნელა, საშინლათ ბნელა...

დასწყველოს ჩემმა გაჩენმა, რა უტყუნთმა მოიკლა ეველაფერი! — გაიფიქრა ახალგაზდა ქალი და ხელებით დაიწყო ფთუთი, რომ იჩაკეებს არ წამოდებოდა.

ბუჩქნარი უფრო შეიძრა, უფრო გახმაურდა. მთვარემ ოდნით გადაიწია შავი პირ-ბაღე და მხვერავივით ცალი თვლით ვაღმობხდა ქვეყანას, — რა დავმართა, რატომ ხმაურობსო, — უნდოდა დაეძახნა: დაჩუბდით, დაჩუბდითო, მაგრამ თვალთ მოჰყრა ქალს, რომელც კიდეც მისულიყო ბებერ მუხის ძირას, და ისევე ამოეფარა თავის სადარაჯო ფარდას.

— რანაირათ ბნელა! — ძლივს წამოილაპარაკა შინისა და დაღაღაღობისაგან სულ-შეხუთულმა ქალმა, — ეინ იცის, მოვა თუ არა თუ არ მოვიდა, შენი მტერი, გზას ევლარც კი გაგიგნებ და დეილუპები. ნადრის რომ ვადეურჩე, მშობლები დამარჩობენ. რა მაქვს თავის ვასამართლებელი?! ის, რომ ჩვენი რჯულის წინააღმდეგი მიყვარს! მერე რატომ იმასაც არ ეუყვარებარ? და თუ ეუყვარებარ, რატომ არის აქე გატაცებული მატყუარას თვლით-მაკობით!... მუდამ რათ დადგედა იმას და ან ახლა რათ არის ასე შეწყნებული! მოუკვებს და ტრისო... მე კი, რომელიც ცოცხალვით შევდარი ვარ, ან ვებრალები იმიტომ, რომ თვლით-მაკი ღმერთათ არ ეიწამე... მიყვარს, ვაგიკებით მიყვარს, მაგრამ უნდა გამოეუტყდე, ნამდვილი უნდა ეთხრა, რომ მე ჩემ აზრს არ შეეცელი... მაგრამ განა თითონ კი დარწმუნებული არ არის, რომ ყოველივე სიტყუვე იყო და სრულად პატიოსანი კაცია იუდაჲ! ოჲ, ნეტავი ჩქარა მოვიდეს და... იქნება ახლა მარცხ ვადათქვას თავისი სიტყვები!... ფიქრობდა ქალი და თანაც ყური მახვლიათ ექირა.

ვიღაცამ დასტვინა... ქალი შეკრთა, დამფრთხალ შედელივით დააცცა თვლები, — სმენა ხომ არ მატყუებსო. სტვენა კვლავ განიმეორდა. ახლა კი დარწმუნდა — ნამდვილი იყო და თითონაც ამგვართვე უპასუხა. ერთ წუთს სწემდევ ორი ახალგაზდა იღვა ას-წლოვან მუხას ქვეშ, რომლის ღიღრონი ტრეტები განკითხვის დღის მსაჯულივით ისმენდა იმათ ღაპარაკს. იღვა მუხა თაქნაღუნული და მისი მღუპარება იმანაც კი ვერ შეარყია, როცა ერთ-ერთმა მის ძირში მცემამა საშინელი გესლიანი დაკინებით დაჰმო ვჯარ-ცვლილი კაცი.

— და შენ ახლაც არა გჯერა, რომ ის მატყუარა იყო? ვანუმეორა ქალმა — მაშ, არ იშლი, გინდა

მეც მარწმუნო ისეთი რამ, რასაც კუთხა მყოფელი არ ირწმუნებს! არა, ჩემო არონ, მიყვარხარ, მითუ ჩემ სიცოცხლეს მირჩენინხარ, მაგრამ ამავე ღროს ერწმუნდები, რომ... მოჯადოებულა ხარ... მე... ეიტანჯები... — ნაწყვეტ-ნაწყევით ამბობდა ქალი, რადგან სულაც არ ფუქრობდა ამ სიტყვების თქმას. პირიქით, სურდა უარ-ყო, სამუდამოთ მოეშორებინა ჩაკულის უარ მყოფელი სატრეფო, მაგრამ ზოდან ნაჭველი ჯაჭვი სიყვარულისა ვერ გაეწყვიტინა.

— რას ჩქარობ! ნახე ტადრ-ს კრეტ-სამბელი შუა გაყოფილი და მაშინ დარწმუნდები, რომ იგი ძე ლეთისა იყო, — მწუხარე ხმით მიოგო არონმა.

— ეგ ვერაფერი სასწაულია, რომ ძველი ტადრის კრეტ სამბელი შუა გაირღვეს, — დაკინებით მიოგო სალომემ — ღმერთი უყვებოდა, ჩემო ჯიუტო, და ის კი ლურსმებით მოაქედეს ჯვარს, რომელიც თითონ მას ათარგუნის ზურგით...

არონს საშინელი ბრაზი მოერია, მაგრამ თავი შეიმარგო და წუნარი ხმით უთხრა:

— თუ არა გწამს იგი, არა გწამს სიყვარულიცა. — სიყვარული! მამ რამ მომიყენა ამ უკუნეთ ღამეში, თუ არ სიყვარულმა? სიყვარული მე კი გწამს, მაგრამ შენ არა, რადგან არა ერთხელ და ორჯერ მილოღინია შენთვის აქ და შენ კი იმას დასდევდი, — განჩხლებით მიოგო სალომემ.

— ის კეთილი, მრავალ-მოწყალე იყო.

— იმტომაც ყველას უჩრგვდა — გაყიდეთ რაც რამ გაბადიდა და გლახათ მიეცითო. „მრავალ მოწყალე...“ რა ენაღლებოდა სხვისი ნაშრომ-ნაღვწო, იმისთანა მრავალ მოწყალე ყველა იქნება. ხალხი რომ ასე მოიქცეს, ხომ ყველა გაღარიბდა და თითონვე საგლახათი უნდა აღდეს, ხომ დაიღუბა ქვეყანა და ძლიერი ერთ ისრაელისა?!

— ვერ შეიგერ ახრი იგაისა! თუ კი ყველა ასე მოიქცევა, მერე სად წვაა ის სიმღიდრე, თუ არ ისევე ხალხთა შორის. მაშინ არც ღარიბი იქნება ვინმე, რადგან ეს საერთო თანხმობა-სიყვარულს მოასწავებს და სიყვარული ხომ შტკიცო საუფქველია ერის არსებობა-სა!.. მიეხალ ივლით კიდევ.

— და ენახეთ შენი „ღმერთისაგან“ მოველენილ სასწაულს, არა?..

არონმა არაფერი უპასუხა, რადგან მტილიოდან ეილაოსი ლაპარაკი შემოესმა და ყური მას მი-აპკრო.

ავერ კიდევ მივიდენ იმ ადგილას, საიდანაც ლაპარაკი შემოესმათ. შეენიერი ბალი ისე იყო გაბრწყინებული, თითქო ამ შუღლამისს მხე ამოსულაო. არონი შეჩერდა და გაშტერებით დაუწყო მხერა ირ სპეტაკ-მოსილ უცნობს, რომელნიც ახლათ გათხრილი სამაზის თავსა და ბოლოს იდგენ.

— იგი აღდგა, სიტყვისაგერ მისისა! — ეუბნებოდა სპეტაკ-მოსილი მანდილოსანს, რომელიც თვალ-კრემლიანი დაჰყოტბდა საუფლაიდან გადაგორებულ ლოდს.

სალომე შიშის ზარმა აიტანა... „სწორეთ კუთხედან შევიწალი! მე დედარი გაცოცხლდა?.. არა, ის შეუძლებელია...“ ნუ თუ დაკუტბდი კიდევცა, რომ ფეხებს ვეღარ მივათრევს!.. წვაალ, წვაალ, მოეშორდები ამ მაცდურთა ადგილს“. — გაიუქვა სალომემ, ერთი კი წამოიძახა „თვალთმაქცო, ბორბორაო“, და ძალ-დატანებით იბრუნა პირი, მაგრამ წამოედო ვარდის ბურქსა და თვამოძულებული დააწყდა მიწას.

— ხომ არაფერი გეტყინა? თავს დასძახა ვილაკამ ალერსიანი ხმით და ხელი წაავლო მიწაზე გაშხლართულ ქალს.

— ხელი, ხელი... ძლივს ამბობდა სალომე.

— შენ, ურწმუნო, აქაც გახვდევ, და გაიმეორე შენი ურწმუნო სიტყვები? მრისხანე ხმით დაუყვირა არონმა ასადგომით მომზადებულ ქალს და დაუზოგველათ წააღო მკლავში თავისი ლონიერი ხელი.

— შედექი! დამშვიდებულათ უთხრა ვილაკამ ზე ხელი დაუჭირა.

სალომეს ყველაფერი დაეწყოდა. „ნუ თუ ის არონი არ იყო? მამ ეინ ჭიბთხა ისე გულ-მტიკინეთულათ — ხომ არაფერი გეტყინათო, — ეინ, ეინ იყო?“ გაიუქვა სალომემ და თვალი მიმოავლო იქაურობას... ის იყო... ცხადთ, ნამდვილათ დაინახა თავისგანვე გომბილი კაცი...

— რაბბი! — გიციეთ წამოიძახა ქალმა და უნდოდა თავყანისცმით დეფარნილიყო, მაგრამ ამ ღროს დასავლითის მხრივ სალომემ და არონმა შემდეგი სურათი დაინახეს:


ვევებრთელა ხე იმდენათ ძირს იყო დახრილი, რომ ტრატები მიწას ენებოდა, მაგრამ შწყენათ მობიბინე მღვლო იქით-აქით იფინებოდა, რაღაცა ერთდებოდა, არ იკარებდა... აჰ, ხემ ნელ-ნელა ასწრაფისი დიდრანი ტრატები, აიპართა და ასეთისავე თანდთანითან აიტანა ყველზე თოკ-მობმული კაცი, რომლის სახეს ჯოჯოხეთის ნისლი და კუპრი ჰქონდა გადაღებული. თვალები საზიზრლათ გადაიგეჭმა, თმა აუტრქვენოდა და ისეთი შავი კვამლი გამოსდიოდა ცხვირის ნესტოთაგან, თითქო ქვეყნის ცოღვანი ერთ ღიდ ქურაში მოუქცევიდა და ცეცხლი მოუქცევიდათო. იმის სახეზე შხოლოთ გაეცემისა და ლალატის კვლი იყო აღბეჭდილი...

— იუდა! გამცემო, მოლაღატე!.. დაიყვრა სალომემ, ამ სიწყაზე ერთი საშინლათ შტტორტმანდა ხე და შეუბრალებლათ გააქან-გამოაქანა თავით ხამოკანწიალებული ღემში გამცემლისა...

— მეჯლისი, მეჯლისი, სხაარული ქვეყანას!.. ვაღ-

მოიხაზ მთიერემ და ამაყთ გამოსრილდა ლაქვარ ღოეან ცაზე. აშრილდა ტყე-ველი, აქღერდა, ავალოზდა მთელი ქვეყანა; ბუნების ჩანგის ელერას შეუერთდა კაცთა სიხარულის ხმა, სამყაროს ოთხივე კუთხე გაიძახოდა „ქრისტე აღდგა“-ო! და ამ საერითო ლაღადის „ქუშმარიტათო“, ვადმოსძახა სხივის ისრებ გაათასებულმა მზემ, რომელიც თავ მოწონებითა და მედღღურობით ვადმოპყურებდა ყელი-ყელ ვადუღობილ ორ ახალ-გაზდა მორწმუნენს და ქედ-მოღრცილ ვეამს იუდასას, რომელმაც თვისისავე ხელით შიშეთილია.

განდგეილი.



კვირიდან კვირამდე.

სისაძრუდი და მწუხარება—ნაზი ხმა—გატანა—
 შინაური უსტავი—ასაფი „ქე“—ულა-
 შია—მომე ცოფვა.

საადღვამოთ ყველა ხარობს, მარა ამ სიხარულს მწუხარებაც თან ახლავს. ჯვარს აცვის და განკიცხს ის, ვისაც ახლა მუხის ეღერეთ და თავიანთ ეცემთ.. მორწყეს გოლოგოთა უმანკო სისხლით, უარპყევს მოძღვრება, ცხოვრების განმაბღებელი... ამისი მოგონება მწუხარებას ვეგვრის და ვეკლანებას. ვერ მოპკლეს მოძღვარი, ვერ მოსპეს მისი სწავლა, ის აღდგა და აღადგინა მეკრებით დატყვეული კაცობრიობა, გაისმა ახალი მოძღვრება ყოველგან, მოეფინა ის „კილითი კიდე ქვეყანას“, აფრიალა დროშა განაჯგეებისა და დროებითი დამარცხება გარდაიქმნა სამუდამო გამარჯვებათ. ეს კი სასიხარულო და დამატებობელია.

ოთხშაბათს შეიპყრეს, პარასკევს ჯვარს აცვის, დაფლეს, დაამწყეს.. კვირას კი აღდგა!.. მოკლე სასჯელია, მარა ერთი გამოუთქმელი, უსაშინესესია.. მოულოდნელი გამარჯვება, მარა სამუდამო, უკან დაუბეველი, მკვადრი, საყოველთაო. სამ ოთხ დღეში დასრულდა მთელი ღრამა, შეინძრა ქვეყანა, შეიცვალა ისტორია. აწმყო წარსულთან შემაერთებელ ძაფს წყეტეს, მოამავლი აწმყოს უკვე შირდება, ცხოვრება ხაესს იშორებს, ეღვერს იცულის, ახლდება ჩაიფულმა იმედი ფარისევლთა, საღუკეველთა და მწიგნობართა, დაინგრა იმათი მასულღმელულები სწავლა, შეცხალა დაობებული მოძღვრება ახალ ანკარა ნაკადულს და ვაქტრა, გაქაჩწყულდა! ჩენი გონებაც ყოველივე ამის მოგონებით მიქრი-მიქრის იქით-აქეთ, ხან ისტორიის უფსკრულს უერთდება, ხან ძალ-მოამოგობის ხანას თაეს დატრიალებს, გოლ-

გოთას უტყერს, ბრბოს ყურს უვადებს, ჯვარს წედაეს, სისხლის ღვარს აშტერდება; წამს აქ გაჩნდება, აწმყოს წარსულს უდარებს და მოამავალს თიფელსწინებს.



ხარობს სოფელი, ხარობს ქალაქი. ხალხი ბო-
 ბოქრებს, იქით-აქეთ მიეშურება, საადღვამოთ სამზადისშია. ქუჩებში ტევა არაა, მაღაზიები გამოქვედილია მუშტრებით, არ არის ყურთა სმენა, ყველაფერი არეული-ღარეულია. აი, ხმა გესმის, ხმა ნარნარი, ნაზი და ტბილი, ყური მიაპყარ გაიგონე მხოლოთ ერთი „შლაპა-შლოპები“... თვალს გკრიან აქა გამოუფენილი ათასნარი, საუცხოოვო ჭრელა-ჭრულები.

აჰა, აღდგომა! ხალხი შეფერთქმული, სიხარულის გამოამტყველი, ლიტანიობს. „ქრისტე აღდგა“—იძახის მღვდელი, „ქუშმარიტალო“ შეპყვირის ერთი.

ღღეს ყველა ბედნიერთა გრძნობს თავს. უძლურსა და დაერდომილს სასოება ემატება, ძალღონე მოუღის, ღარიბი მდიდრდება, დაჩავრული გამარჯვებას გრძნობს და იმედით მხნევედება. მაშ, გემხნევედთ ჩვენც, განვახლოთ ჩენი ცხოვრება!..



და განახლი შენც, ჰოი საბჭოე ქუთაისისავე განახლების მოიკიქული კარს მოგდგომია. ქალაქის მკვიდრო, ფრთხილათ იუავით, დაჭმეთ ქუთათაურათ კეწვის მოხმარება! აჰა, ხმოსნები! მით გულს ძვერას ისმენს რიონი, ყურს უვადებს ყველა. ნუ დაივიწყებთ, რომ ქუთაისი, თუნდ პატარაა, მარა ღამაში და, პაეტის სიტყვით, „საჯარა და სამოსო“. კარგტანს კარგი თავიე უნდა, რომ არ დაუშროვდეს. კარგი თავიე კი ის იქნება, ვინც ბუნებრივ, გარეგან სილამაზეს შინაგან სილამაზეს და განწყობილებასაც მოუმატებს. მაშ იძიეთ შესაფერი თავი!

მარა ვინ იცის, ვინ იქნება, ვინ გამოამრჯეებს! იქ, სადაც მექნებებს ზუთისს დანახვა ნერწყესა გერის, სადაც აქაურ-იქაურობა, ზემოაურ-ქვემოაურობა გაისმის, საზოგადო საქმე გატანიოთ ხდება და გატანია ხომ თამაშობაა—სხვა არაფერი. ბურთი ღიღიოზე უნდა გავიდეს აქეთ იქნება თუ იქით, მარა საფრთხილია, გატანის დროს წუშვეში არ ჩავარდეს და არ გაისვაროს ისე, რომ რიონმაც ველარ გარეცხოს.



ქუთაისში ყველა ვადაკაიწებულთა ვატანიოში ჩასარევეთ, მარა ურიებიე კი „არჩეგან-არადანის“ გარეშე დარჩენილან. აღზათ იმათ არ იციან კარგი ჯლიქთი, ვაკრა-გამოაკრა და მიწოლამ-იწოლა. რა-

გორკ ასეთები, ისინი გამოარცხულ იქმნენ მევენკე-
ების სიიდან. ეს, რასაკვირველია, წყენიათ ქუთათურ
ურიებს და საქპართო გაუშანშალბენიათ უშველენგელი
თხოვნა. ჩვენ რუსეთის ურიები ნუ კი გგონივართო,
ლაღლებენ ისინი. კანონში მოგვანიჭა თქვენთან ერ-
თათ თანასწორი უფლება და თქვენ კი უკანონოთ
გითუქართო ამ უფლების წართმევია. შეიძლება ასუკ
იყოს, მარა ქუთათური „ატუტკატები“, მოგვესვენებათ,
თავს გამოიძვრენენ. საარჩევნო სია უთუთო ენების
კვირაში შეუღვენიათ ქუთათურებს და ეს კვირა ხომ
ურიებისთვის ცუცხლი და ნათია. ამ კვირაში ისინი
ყოველგან სისხლის მღვრელებათ აწოდებინა და, ამა,
კაცის მკვლელს და სისხლის მსმელს ეინ გაიაშხანა-
გებს და ისიკ საზოგადო საქმეში ეს, რასაკვირვე-
ლია, შინაური „უსტაეის“ ძალით, მარა, საშინლათ
გათათხებინა ქუთათური „ატუტკატები“!

ან კი რა ვასაკვირი იქნება ეს? ქუთათურების
ლექსიკონში მხოლოთ „მე“ წერია და „ჩვენ“ კი
ამოუხეცილია. საღ ვინდათ, რომ ეს „მე“ არ ბატო-
ნობდეს? ბანკებში, საბჭოში და კრძო ამხანაგობებ-
შიაც კი სულ „მეს“ ვაძახიან. ქუთათილებს უნდა
მიეუტოთო ახალი „მეს“ მოვლინება. ეს „მე“ გა-
ხლავთ ვილაც დღემდის უცნობი ანჯაფარიძე. ის მო-
ველინა რისხეთ და მენათ „ქუთათის მებარეშუმეთა
და ფეიქრობის ამხანაგობას“. რისთვის, რა მიზეზით?
ჩვენში ჩვეულებრივი მარა თავისთავათ კი უცნაური
მიზეზით!

ანჯაფარიძე გამეც იყო ხსენებული ამხანაგობისა,
მარა მას თავმჯდომარეც ჰყავდა და უშინოთ ჩარხს
ეერ ატრიალენდა თავის ნებაზე. თუმცა არ მოწონდა
ეს, მარა დღემდის ასე თუ ისე ითმენდა. ბოლოს კი
ნამეტიანი მოუღღამეს: შევადგინეს ახალი წესდება ამ-
ხანაგობისათვის და გამეცეს კიდევ უფრო შეაკეცეს
ფრთხობი, ის ჩაყენეს კიდევ უფრო ვიწრო ფარგალ-
ში. ამან ვატყლიცა კაკალი კაცი გულზე და... და
აირია მონასტერი! ანჯაფარიძემ ამხანაგობა გაუქმე-
ბულათ გამოაცხადა და ახლის შედგენას მიჰყო ხე-
ლი, სადაც ის უნდა იქმნეს თავიკ და ბოლოც. ეს ხმა
მოვლდა მთელ ქუთათის და შეიკრა საურთიერთო
ნდობის ბანკშიც. გაქანდა გულ ვახტეშვილი ბანიკ
ამხანაგობის საწყობისაკენ, სადაც ინახებოდა მასში
დღირაეებული 18 ათასი მანეთის საღირალი საქა-
ნელი, გაქანდა მარა კარებზე ანჯაფარიძე დაუხედა
აფართოული და სულ ანასტ-აბრაუენი მიაყარა და-
ფეთებულ ბანკს: აქ ვაჩნდა პოლიცია, ოქმი, ბეჭდე-
ბი, ბორკილები და სხვა ათასი ბელასნი-ოლრასინი,
შეკრეს, შეკრეს ვირაო, ჩაუტეცეს კარები, სტუტუცეს
შედ ბანკისა და პოლიციის ბეჭდები და დაადგინეს:

ეგლოს აქ გაკოჭილი ვირაო, სანამ საზოგადო კრება
არ გაათავისუფლებსო.

სასაცილოა და თანაც სამწუხარო ჩენი ამხანა-
გობების საქმე! რას არ ჩადიან მათი გამგეები? ზოგა
იძახის: უწემოთ არც ისო (ამხანაგობა), ზოგი თა-
მჯდომარის თავმჯდომარეობას ითვისებს, ზოგი სა-
კუთრათ ჰქმს და ყლანავს და ზოგი კიდევ რას არ
შერება!.. შემოგვეწერა რაზედმე ხეთი-ექესი კაც,
ხეთი ექესი გამეც და ჩიფუშა ამდენივე საზოგადო
საქმე!.. აი, ჩენი ამხანაგობების საფუძველი ნეტავი
რადის გახედნება ჩენი საზოგადოება ამ მოღვაწე-
ების ხელში? ვიტყვიოთ და ეგლოვოთ ჩენი ასეთი
არაობა.

**

და თქვენც მობანეთ და ისკით თავში, შავი
ქვის მწარმოებლებო! რა ნუგეში გცეთ, რით ვაგამ-
ხნეოთ? თქვენ თხოვენას, თქვენ მუღარას წესი
აუკო სატრიფო კამიტეკა... უღროვოთ და მოუ-
ლოდნელათ დაიქცა თქვენი ოჯახი, განმარჯვა ისევ
საკინკლა ჭიათურის გზამ და დაადგა თავზე სულთა
მხუთათათ თქვენ შავ ქვას. მან აქცია შავი ქვა ნა-
ცარი-ცხელათ, რომელიც თქვენვე გთუქავს და მას
კი ხელს უთბობს.

მუშებს დააკვლით, თქვენ თავს ანგარიში ნუ
ჩავიდებთ, ხოლო ჭიათურის რკინის გზას კი აძლიეთ
უქდნელათ უფთოთ ორი შაური! რამ ვადავამტრათ
ეს გველეშაბი, ეს უცნაური უკლავია, რომლის მზგავს
ვერსად შეხედებით მთელ დედამიწის ზურგზე!

ორი შაური ჭიათურის რკინის გზას, ცოტა მუ-
შებს; დანარჩენი კიდევ დიდ რკინის გზას... აქ სადამოყ-
ნო ვადასახალი, იქ საქალაქო, კიდევ სხვა ხარჯი, კიდევ
სხვა ხარჯი და... და ვამერა ტყევი საბრალო შეე ქვას!...
აქეს კი ამ საცოდავს ამდენ ტყევი, რომ ასე სასირ-
ცხობთ ვატყეებული მსოფლიო ბირჟაზე გამოჩნდეს
და თავის უცხოელ თანამეგარეებს ბრძოლა და მე-
ტოქობა გამოუცხადოს? ეი, რომ არა! ინდოეთის,
იაპონიის და ისპანიის შავი ქვა უკანასკნელ ტყავს
ვაამზავს ჩვენებურ შავ ქვას და თავპირ დაფშე-
ნისო უკანვე გამოაბუნძულებს!...

**

ჭიათურის რკინის გზის სულმა და ხორცმა იწ-
ყეტოს ამის შედგენი მარა ეს ისეთი მძიმე ცოდვაა,
რომ, ვვანებ, ეერც კი აიკოდოს ის მისმა ბლოჭინ-
წიკიზინა მანქანებმა, სხვა არა იყოს რა, მარტო ძე-
ლი საურამე ვზის ცოდაც კმარა. ეს მამა-პაპური
გზა, ხალხის ოუფლითა და ჯავით ვაჩხილი კლდე,
ათას ნაირათ მიკლაკინოლ-მოკლაკინოლი, იმსხვერპე-
ლა და ინაცვალა ჭიათურის რკინის გზამ. ის დანი-
გრა და ჩამოშვავდა ისე, რომ ძვეითიკი ევლარ გა-

ერებმა (აზერის შერტებულ შტატებში), აღმოაჩინა წარსულ წელს ისეთი მანქანა, რომ იმან შორი ქვეყნიდან ტელეგრაფის მართვის საშუალებით შესაძლებელი ჰყო ფოტოგრაფიული სურათის გადაღება. მართლაც ძნელი არ უნდა იყოს ეს საქმე; ტელეფონში ჩვენ ენაშნავთ ისეთ ძეგრას, რომელიც სმენას აღძრავს და ეს სმენითი ძეგრა ადვილათ იცვლება ელექტრონულ ძეგრად. თვით იმ მანქანაში კი, რომელიც მესაათეს მოუგონია, სმენათა ძეგრის ტალღები სინათლის ძეგრის ტალღებათ არს სიკვდილილი და ამით კეთდება ფოტოგრაფიული სურათი.

რენტგენის სხივებმა ხომა წარსულ წელს საოცარი ამბები მოახდინა. ერთი ინგლისელი კორესპონდენტი საციკრივლ ამბებს იწერება ინდაეთის ბრძოლის ევლიან. იქ ამ ქვანთ ინგლისელები ებრძვიან აზრიდებებს, ინდაეთის მოსახლერე მითს ხალხებს. თურმე რენტგენის სხივები დიდ შემწეობას აძლევენ მყურნალებს მით, რომ დაჭრილებს ადვილათ უპაენიან ხოლმე ტყვიას ტანში ჩამჯდარს და იქიდან მერე ადვილათ უღებენ ხოლმე: ხშირათ მოხდებოდა, რომ დაჭრილ კაცს საშინელი ტყვიელები აღმძროდა ძელებში და ტანში. უწინ მყურნალი ალაღ ბედზე ეძებდა ტყვიას ტანში და ამ ძებნაში დაჭრილ კაცს ხშირათ თან გადაატანდენ ხოლმე ან და ფიქრობდა, ხელ ფეხში ძვალი აქვს დამტერეულიო და რომ დაჭრილი კაცი გადაერჩინა სიკვიდოს, მოკრიდა ან ხელს, ან ფეხს. ბოლოს გამოჩნდებოდა, რომ მყურნალი შეცდა, მარა რაღა დროს. ახლა რენტგენის სხივების საშუალებით ასეთი შეცდომა ყოვლათ შეუძლებელია. მიაყენებენ დაჭრილ კაცს რენტგენის სხივებს და ისე გაანათებს კაცის შინაგან ტანს, რომ მაშინვე აღმოჩნდება სად არის გაჩერებული ტყვია, ან თუ ჰქონდა მისგან ძვალი გატეხილი ან შეშინებული. ამის და შესაფერათ იქცეოდენ მყურნალები და ქირურგებო ინდაეთში. ისინი ზედმიწევნით არჩედენ დაჭრილ სამხედრო კაცებს. რენტგენის სხივები გასაოცარ საქმეებს ახდენს. იმას ხშირათ ხმარობენ დამოკანში დაუბეჯავი და მიმალუი კონტრაბანდის აღმოსაჩენათ; ის კი არა ამ ბოლო დროს თომა ედისონა თურმე რენტგენის სხივების საშუალებით კაცის ტვინიდან ფიქრს და აზრებიც კი გადმოიღო ფოტოგრაფიულიათ.

წარსულ წელს ფოტოგრაფიულმა მეცნიერებამ დიდი ნაბიჯი წადგა წინ. ფოტოგრაფია ახლა სხვადასხვა ბუნების ფერებსაც კი იღებს: წითელს, ყვითელს, ლავარდს, სოსანს და სხე. მომავალ პარიკის გამოფენაზე ამხადებენ ერთიანი ფოტოგრაფიის მანქანას

რომელიც თურმე თავისით იღებს მრავალნაირ სურათებს, ასე რომ, საცა უნდა დადგა მომართული, და სადმე წახიდე, რომ დაბრუნდები, ფოტოგრაფიის მანქანა დაგხეიერებს ყოველნაირ სურათებს, რაც კი შენ სხეგან ყოფნაში მომხდარა შენ ოთახში, შენ ოჯახში. მაგალითათ ასეთი ფოტოგრაფია დიდ სამსახურს გაუწევს სხვათა შორის იქვიან ქმრებს. იმათ უნდა დადგან საიდუმლო ალაჯს ეს მანქანა მომართული და თით-ს სხეგან გაემგზავრონ. ღმერთო ჩემო, დაბრუნებისას რა ამბებს დაახვედრებს თავის ცოლისას. მოგეცათ სიკიცხლე, ბევრი ცოლ-ქმარი გაჰყაროს ამ საოცარმა მანქანამ.

ქიიის მეცნიერებაში მუასანმა და პროფესორმა დაერმა წარსულ წელს იმდენი მოახერხეს, რომ მეტალი ფლოური გაალხევეს, რაც აქამდია ვერ მოხერხებინათ. დოქტორმა ემენმა მექსიკის ვერცხლიდან ოქრო გამოიღო. იმან აზოტის სიმჭევეში გააღნო ვერცხლი, რომელშიაც ოქრო იყო, და რადგან ეს სიმჭევე ვერცხლს აღნოს და ოქროს კი ვერა, ამის გამო ვერცხლი და სპალენი რომ გაღნო ოქრო ძირს დარჩა დალეკილი.

მახაკელი.

(დასასრული იქნება)



ქ რ ო ნ ი კ ა

(გ უ ს ე თ ა.)

ბოლო დროს რუსეთის ქურნალ გახეტებში სულ უფრო და უფრო ხშირათ შეხვლებით 1891-92 წლების ხსენებას. ეს ახსენება მით, რომ დღეს, შარშანდელი მოუსაგლოობის გამო შიდა რუსეთის 19 გუბერნიაში, რუსეთის გლეხ-კაცობის უმრავლესობა დამშეულია. მართალია, გასულ 1897 წელს მოუსაგლოება ისე დიდ რაიონს არ მოადებია, როგორც 1891 წელს, და ამასთანავე შარშან პურიც იაფი იყო, მაგრამ სამაგიეროთ დღეს რუსეთის სოფლის საზოგადოებათ ბევრათ უფრო ნაკლები ძალი და საშუალება აქეთ მოუსაგლოობის გამანადგურებელ შედეგებთან საბრძოლველოთ. გავიხსენოთ, რომ აგრეთ წოდებული „სარჩინი თანები“ (продовольств. капиталы) 1891—92 წლებში დაურიგეს მცხოვრებლებს. ერობებს დღეს, ძალიანაც რომ სურდეთ, დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენა არ შეუძლიათ, ეინაიდან თავისუფალი ფული არ მოგვაეებათ. მთავრებაც დღეს ძლიერ ამცირებს სესხს, ეინაიდან წინანდელი შიმშილობის დროს აღებული სესხის

შეტანას ძლიერ ავიწინებენ. ნუ დაიფიქვებთ ამასთანავე იმასაც, რომ ამ ექვსი წლის წინეთ ხალხის გაქირებვას თვით საზოგადოებამაც დიდი ყურადღება მიჰქცია; ყოველგან კრებდნენ ფულს; კერძო პარტიბი თუ სხვა-და-სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი არსებდნენ სსადილოების და წამლობდნენ შიმშილისაგან დაუძვრებულნი ხალხს. მიუხედავად ამ-სა 1891 წლის მოუავლობამ საშინლათ დასცა რუსეთის გლეხ-კაცობა, მრავალ ოჯახს საშუალოთ ააღებია ხელი მიწის მუშაობაზე, დატოვა უმიწოთ და უხელ საწყით, და არა ნაკლები ნაწილი სრულიად ამოწყვიტა. ასე მოხდა 1891 - 92 წლებში, როცა ყოველი მხრიდან ემხარებოდნენ დამშეულ გლეხ-კაცობას მწარე ბედის შესამსუბუქებლათ. დღეს კი რაღას ეგედავთ? საზოგადოება თითქო გაქვევებულაო, ისე გულგრილათ უტკერის დამშეულ სოფლების გაქირებვას; არსად ხმა არ ისმის არც სსადილოების გამართვაზე და არც ფულის შეკრებაზე დამშეული ხალხის სასარგებლოთ, წარმოდგინეთ სახალხო სკოლების სსადილოებზედაც კი ხმა გაჰმინდეს. იმავე დროს ფაქტები, ორი ოფიციალური დაწესებულების მიერ (კენტირალური სტატისტიკური კომიტეტის და მიწათმოქმედების სამინისტროს სასაფლო ეკონომიის და სამეურნეო სტატისტიკის განყოფილების მიერ) შეკრებილი და შემოწმებული, შემდეგს ამარჩებენ:

ცხამეტ მოუსავლიან გუბერნიიდან თერამეტში შინაური პირუტყვის გაყიდვა ჯერ კიდევ შემოდგომამზე დაიწყეს, რასაკვირველია ძლიერ დაკლებულ ფასათ, როგორც 1891 წელს, ანუ, როგორც ამბობენ, მარტო ტყავისთვის. ისიც კი წყალობა იქნებოდა, რომ დაკლებულ ფასშიაც შესაძლებელია ყოფილიყო საქონლის გასაღება; ამიტომ ალაგ-ალაგ საქონელს პირდაპირ ხოცვა დაუწყეს, ვინაიდან შენახვა შეუძლებელია შეიქცას საკვები მასალის უქონლობის გამო. თუ ალაგ-ალაგ პურის საჭიროებაში ცოტათუნე განსხვავება, საქონლის საკვები მასალის უქონლობა ყოველგან ერთნაირია. მაგრამ ზოგიერთ გუბერნიებში, მაგ., ტულის გუბერ., მცხოვრებნი კი ხანია სკოთი იყენებინან; თითქმის აღარაფერი აღარ მოეძებნება. აქედან აიხსნება ის ვარქაუება, რომ სოფლის ხალხი მიაწყდა ქალაქს და დღიური ქრავოველგან 15 კაპეკამდე დასწია! საუბედუროთ ასე მტირე ფასშიაც ევლარ შოულობენ სამუშაოს. ამიტომ სადაც შესაძლებელია შინაური საქონელს დაუწყეს გაყიდვა. მაგრამ კარგათ მოგვეხსენებთ, რომ 1891 წლის შიმშილობას შემდეგ ბევრს აღარ შერჩენია საქონელი. ასეთ გაქირებულ მდგომარეობაში უმრავლესობამ ისევ თავის „მარჩინალ“ მრავს მიმართა, ას ყიდის, რასაკვირველია, სულ მტირე ფასში.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო,—ნათქვამია ალაგ-ალაგ ასეთ გაქირებულ მდგომარეობას უშეშობაც დაერთო. სად უნდა ებოვა დამშეულ ხალხს შეშა? იმანაც მიჰყო ხელი საწლის სახურავის, სახმეულის ან სხვა შენობის დაღვევას და წვა. ამნაირათ ვინც 1891 - 92 წლებში გაღურია უბედურებას, ის შარშანდელი მოუსავლობის მსხვერპლი უნდა გავლდეს, ე. ი. ძალა უნებურათ ხელი აიღოს თავის კარმიდამოზე და საღმე დღიურ ქირაზე წავდეს ან შარულ ქვეყანაში გადაესახლოს. რასაკვირველია, ეს ახალი მოვლენა არ არის რუსეთის ცხოვრებაში. მაგრამ შარშანდელი მოუსავლობა ამ პროცესს, ამ მოძრაობას ერთი ათათ გააძლიერებს და გაადიდებს; ეს მოძრაობა, ე. ი. რუსეთის გლეხკაცობის გადმოსახლება დღეს ამიერ-კავკასიაშიაც უფრო ძლიერია, ვინემ წინეთ. კვირე არ გავა ისე, რომ რუსეთთან გადმოსახლებული ახალი რაზმი არ მივიდეს, რომელსამე ქალაქში, ქუჩაზე ისე ვერ გაიღლით, რომ რამდენიმე გადმოსახლებულმა ხელი არ გამოავლილოს შემწეობისთვის.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ რუსეთის გლეხ-კაცობის კეთილდღეობა დღითი დღე ეცემა და უკან მიდის; მაგრამ ეს მხოლოთ ერთი მხარეა საქმის ვითარების. ჩვენ ვიცით, რომ თუ ერთი ნაწილი იძულებულია საქანელი გაყიდოს, თავის მიწაზე და სახლ-კარზე ხელი აიღოს, მეორე ნაწილი, რასაკვირველია უმცირესობა, ყოველსავე ამას სიამონებით ეატარებდა, ე. ი. იგდებს ხელში ჩაღის ფასათ. ამნაირათ, თუ ერთი ნაწილი გლეხ-კაცობას, უჭრავდესობა, ღარიბდება, პროლეტარიატდება, სამაგვროთ მეორე ნაწილი იმავე გლეხ-კაცობას სულ უფრო და უფრო მდიდრდება და ბურჟუაზდება. ეს არის დღენადღი საზოგადოებრივ ვითარების ბუნებრივი მიმდინარეობა; ხოლო ასეთი უბედური შემთხვევა, როგორც მოუსავლობა, ამ მიმდინარეობას აჩქარებს, აძლიერებს, და ამასთანავე კიდევაც ამწვანებს. რუსეთში ამ უკანასკნელი ოცი-ოც-დაათი წლის განმავლობაში ბევრმა აძიდა ასეთი საკითხი ღარიბდება თუ მდიდრდება გლეხ-კაცობა, ე. ი. მატულობს თუ კლებულობს მისი კეთილდღეობა? მაგრამ, საუბედუროთ, იმას კი ვერ ამჩნევდნენ, რომ დღეს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების სიძირკველი შეინძრა, როცა საქონლის ჭრილი და ფულზე წარმოება თან-და-თან განვითარდა და დეტი მოიკადა, ასე საკითხის დაყენება შეუძლებელია ვინც ასე დააყენებს დღეს საკითხს, ის წინააღმდეგობას ვერ აკიდდება, ვინაიდან ის ერთი მხრით ხუცდეს შეძლებულ და მდიდარ გლეხ-კაცობას და მეორე მხრით იმავე გლეხ-კაცობის გაღატაკებულ, მიწასთან გაწორებულ

უმრავლესობას; ესე იგი ის იძულებულია აღიაროს, რომ გლეხ-კაცობის კეთილდღეობამ კიდევაც იმატა და იმევე დროს კიდევაც იკლო, დაეცა. მაგრამ მას რომ თავიდანვე შეეტყო დღევანდელი ცხოვრების ერთარება, უფარ ეყო ის უსაფუძლო და განყენებულ ი შეხედულა, რომ ვითომც გლეხ-კაცობა დღეს იგივეა რაც ამ ერთი საუკუნის წინეთ, მაშინ ის ასეთ აშკარა წინააღმდეგობაში არ შევიდოდა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის სოფლის მკაცრებთა უმრავლესობის კეთილდღეობა რომ დღეს თან-და თან ეცემა, ამას სხვათა შორის, დარწინილი გადასახადის ანუ აკრებ წოდებულ „ნელოიკების“ თან და თანი და შეუჭრებელი ზრდა მიუძღობს. მომავალ აქ სტატისტიკური ცნობები „ნელოიკების“ ზრდისა 1871—1895 წლების განმავლობაში ბ-ნ ბრესკის წიგნიდან „неоднородность окладных сборов.“

წლები	ნელოიკა
1871—1875	30. 061,000 მან.
1876—1880	31. 744,000
1881—1885	40. 423,000
1886—1890	43. 478,000
1891—1895	98. 144,000

ამაირათ, როგორც ხედავთ „ნელოიკების“ რიცხვს სამჯერზე უფრო მეტათ უმატია რაღაც 25 წლის განმავლობაში, მაგრამ ყველაზე უფრო კი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, როცა 43 მილიონ მანეთიდან 1891 წელს „ნელოიკა“ ერთბაშათ 1895 წელს 98 მილიონამდე აღის. რით აიხსნება ასეთი პროგრესული ზრდა „ნელოიკებისა“? ბ-ნი ბრესკი, პირდაპირი გადასახადის დებარტამენტის ვიცე-დირექტორი, თავის წიგნი ამბობს, რომ „ნელოიკების“ ასეთ ზრდაში გლეხ-კაცობის კეთილდღეობის თანდათან დაცემის დასამტყიცებელი საბუთი კი არ უნდა ვეძიოთო. ერთი სიტყვით ბ-ნ ბრესკის აზრით, არა გლეხ-კაცობის ვალტაჟება და გადასახადის სიმძიმეა „ნელოიკების“ შეუჩერებელი ზრდის მიზეზი, არამედ გადასახადის შეკრების წესი და სისტემა. ასეთი შეხედულება ახალი არ არის აღმინისტრაციულ დაწესებულებებში. ამიტომ საჭიროა რამდენათმე მაინც გავიცნოთ ეს „წესი და სისტემა“.

(დასასრული იქნება)

გერმანიის ამბები

2. ფლოტის გადიდების პროექტი.

ერთ წინა წერილში ვიწერებოდი, რომ მთავრობის საფლატო პლანებს ცენტრის პარტია რეისტაჟში

წინააღმდეგობას უწევს და ამიტომ იმპერატორის რეისტაჟთან შეტაკება თითქოს აუცილებელია მეთქი. ეს მოსაზრება სრულიად ტყუილი გამოდგა: არც შეტაკება მომხდარა და არც იმპერატორის მიერ რეისტაჟის დათხოვნა; და ყველა ეს არ მოხდა იმის გამო, რომ ცენტრის პარტია ჩაუღალდა...

ცენტრის ასე შესაბრალებით ჩაუღლებას აქ არა-ეინ მ-ელია, მთელი წინანდელი პარლამენტარული მოქმედება ამ პარტიისა სწორეთ ასეთი მოლოდინის საფუძველს არ იძლეოდა. ცენტრი ძალიან ბევრ შემთხვევებში ხალხის წარმომადგენლების უკუღმებათა დამცველათ გამოსულა და ამისთვის მთავრობისთვის სასტიკი ოპაზიხია გაუწეოდა. ასეთი წინააღმდეგობა ვაუწია მან, მაკალთითა, 1886 წ. მთავრობის მიერ წარმოდგენილ სამხედრო კანონს. ბისმარკმა მაშინ რე სტაგ-ს უფლების შემოკლება მოისურვა, ჯარის გამრავლება და ამისთვის საჭირო ხარჯების დამტყცება შედი წლო ბით მოითხოვა. 7 წელში საჭირო სამხედრო ბიუჯეტი რეისტაგს ერთ თვეთ უნდა მიეცოდა და ამ გზათ ყოველ წლიურ კანტროლის უფლებებზე ხელი აეღო. მთავრობის ასეთ სურვილს სხვათა შორის ცენტრი წინააღმდეგობა ბისმარკს შეუგზძოლა. იმპერატორმა, ანუ უკეთ ბისმარკმა, რეისტაგე დაითხოვა და ახალი რეისტაგე შეადგინა. ცენტრი ახალ რეისტაგშიც ბისმარკს შეეტაკა. ბისმარკმა მის მიერ შედგენილი „კანტროლის“ წყალობით, მაინც დღელო ვატიანა და მთავრობის წინააღმდეგობა მაშინდელ რეისტაგს მიადგრა. მიუხედავთ ამისა, ცენტრის იმ დროს მასთან ბრძოლა აქაურ პარტიათა ისტორიაში წაუშლელ ფაქტათ დარჩა.

მარა ეს 1886 წ. იყო. დღეს კი 1898 წ. არის. მოგვსენებთ, ქვეყანაზე ყველაფერი განვითარების კანონს ემორჩილება. ცენტრის პარტიაც ამ დროს განმავლობაში განვითარდა და სწორეთ ის საგანი, რის გამოც ის ამ 12 წლის წინეთ მთავრობას ებრძოდა, ახლა მან უბრძოლველათ და უწინააღმდეგოთ მიიღო. 1887 წ. ცენტრი აცხადებდა: ჩვენ ხალხის უფლების დასაცველათ ებრძვიეთო. 1898 წელს კი ის აღარ იბრძვის, მარა ხალხის უფლებების დაცვას ცენტრს ჩემობს...

თუ ცენტრზე ამდენს ვლაპარაკობთ, ეს იმითომ რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ფლოტის პროექტის ბედ-იღბალი სწორეთ ამ პარტიაზე იყო დამოკიდებული. კონსერვატორები და ბურჟუაზიულ პარტიათა უმრავლესობა ფლოტის გამრავლებას მომხრეა, მაშასადამე, მთავრობის გვერდით დგანან. თუ ცენტრიც ძალთ მიემხრობოდა, პროექტიც გვიდოდა და კანონის ამას მიიღებდა. და, აი, მიემხრო კიდევ და მთავრობას ომი მოაკვებია.

თავიდანვე ხსენებული პარტიის ტაქტიკა ამ საგნის გამო ძალიან ორპარტიული იყო. პირველათ ცენტრი შებოროტდა, შედგა და იქით-აქით ქანაობა დაიწყო. ამ ქანაობას შემდეგ ცალ ფეხზე ტრიალს მოჰყვა, ამ ტრიალში მას თავებუ დავსა და ბოლოს ტარპიტის, ზღწეასწინის მიწისჭრის, წინ კი ვითმულარად და მორჩილებით თავი დაუტარა.

ერთი სიტყვით, ცენტრმა პროექტის ორივე მხარე მიიღო: საომარი გემების ასაგებათ ახალი ხარჯებიც და რეინსტაგის კანტროლური უფლების შეზღუდვა. მხოლოდ ეს შეზღუდვა მან 7 წლიდან 6 წელზე ჩამოიყენა. განსხვავება აქ დიდი არაფერია. მთავრობა ექვს წელშიაღ იმდენ გემებს იღებს, რამდენიც მას, საკუთარი პროექტის ძალით, 7 წლის განმავლობაში უნდა მიეღო. ეს ამით კიდევ უფრო მოგებაშია.

თუ მთავრობა მოგებაშია, სამკვირვო ხალხი — ყოველი მხრით წიგნებში. რეინსტაგის ხალხის წარმომადგენლობა, და რეინსტაგის უფლება — ხალხის უფლება. მაშასადამე, რეინსტაგის უფლებათა მხრების შეკვეცა ხალხის უფლებების შესწორება შევიწროვებს ნიშნავს. გარდა ამისა ახალ საომარ გემებს ხომ ახალი ხარჯები უნდა. კითხვა წამოდგა: ვინ უნდა გასწიოს ეს ხარჯები, — ხალხმა, ღარიბმა, მუდამ სათლელმა ხალხმა, თუ ამ ხალხის მთლელმა უმცირესობამ.

ამ საგანს იქნებ სხვა დროს დიდი ყურადღება არც კი მიჰქცეოდა, მარა ახლა სხვა დროა. საჩინსტატო არჩევნები მომწულელა. ამ არჩევნების წინ ყოველი პარტია თავისი ამომრჩეველების გულის მოგებას ცდილობს. ამიტომ ფლორტის დაღვინების გამო ხარჯების მომატებამ რეინსტაგის კომისიაში კარგა გრძელი სჯაბაას გამოიწვია. მთელი პროექტი დღემდის ამ კომისიის ხელში იყო და რეინსტაგის საერთო კრებას ჯერ იგი არ დაუმტკიცებია. მიუხედავით ამისა, რომ პროექტი გავა და დამტკიცდება, ამას ეჭვი აღარაა. კომისიის მიერ პროექტის მიღება რეინსტაგის უმრავლესობის მიერ მიღებას ნიშნავს, რადგან ამ საგნის გამო პარტიათა აზრი უკვე კომისიაში ირკვევა. ცენტრის თავბრუს დახვევა კომისიაში მოხდა. ამ ბელადის სახელი, რომელმაც მოწინებით ტრპიტის წინ დაიჩქა და მოჩრჩილება გამოაცხადა, ლიბერია.

ლიბერი მთავრობას გვერდში ამოუდგა, მისი მარჯვენი ხელი გახდა. ეს ყველამ დაინახა. დაინახა ხალხმაც. მაგრამ ლიბერი შემდეგ წლებშიაღ რომ ლიბერობდეს, საქირაა ხალხთან კეთილი განწყობილება. ეს განწყობილება, სულ ერთია, როგორც უნდა შეძენილ იქნეს, მოტყუებით თუ სიმართლით,

ხალხის ინტერესებს ნამდულათ დაკეთ თუ ამ დაცვის მხოლოდ მოჩენებით.

ჩაბან ცენტრმა ნამდული და მართალი გზა დატოვა მთავრობის სასიამოვნებლათ, იგი იძულებული შეიქნა მოჩენების გზას დაღვამოდა და შეუთანამებელი ერთანხებდა: რომ მთავრობის დამპყობილებასთან ერთთ ხალხი დაეწყობილებინა და ვითომ ხალხის ჯიბის ინტერესი დაეცეა კომისიის სხლამაზე ლიბერმა განაცხადა: მთავრობის მოთხოვნილებას დაეთანხმდით, იმპერატორს აღარ დაწყვინეთ, მარა ამასთან საქირა, რომ ხალხსაც არ დაწყვინათო. რომ ეს მოხერხდეს, აი — მიიღეთ ჩემი წინადადება და თან წარუდგინა კიდევ ეს ხალხის მთავრელი წინადადება. ამ წინადადების შინაარსი შემდეგია: თუ წლიურათ ფლორტის ხარჯათ 118 მილიონი მარკა საქმარისი დარჩა, იმ შემთხვევაში ეს ხარჯი ჩეულუმბრიე უნდა მოხდეს, — სახელმწიფო ხაზინიდან. მაკრამ თუ ამ ჯამს ხარჯა გადაქარბა და ამ ს დასაფრავით არსებული ზეჯარა და სადაყოლო ზაფი სკუპირის არ დარჩა, მაშინ ეს ზედმეტე რაც იქნება, ეთომ მიღღინების ჯიბიდან უნდა ამოიღოს. ამისთვის უნდა დაწესდეს შემოსავალზე გადასახადი. ესაღ წლიურათ ათი ათას მარკაზე ნაულები შემოსავალი აქვს, ის ამ გადასახადიდან თავისუფალი იქნება. ესაღ მეტე შემოუღის, იმან კი დაწესებული რაოდენობა უნდა გადაიხადოს, ეს იყო ლიბერის პროექტი.

რა თქვეს ამ დროს სხვა პარტიებმა? კონსერვატორებმა, რასკერველია, ყოველგვარ ახალი გადასახადის შემოღებაზე, რომელიც მიღღინების ჯიბის შეგება, ცივი უარი განაცხადეს. ეს პირჯარა, დაუფრავათ. ლიბერალებმა კი ეს ეერ გაბედეს, — რას იტყვის ხალხიო, — და ამიტომ მხოლოდ პლატონური სურვილი გამოთქვეს, — სასურველია, რაც მეტი ხარჯები იქნება, უფრო შეძლებულებმა იქსწრონო; თესეულთ მაზარებმა ქონებაზე (და არა შემოსავალზე, როგორც ცენტრმა) გადასახადის შემოღების პროექტი წარმოადგენს. სოციალდემოკრატებმა კი თავის მხრით შემოსავალზე გადასახადის დაწესება მოითხოვა. ამ პარტიის მხრით ბებელი ლაპარაკობდა. ჩვენ — თქვა მან — მთლათ მართებლობის პროექტის წინააღმდეგნი ვართ და მისი მიღება არ გვინდა. მარა, როგორც ირკვევა, კანონ-პროექტი რეინსტაგის უმრავლესობის მიერ მიღებული იქნება. ამიტომ ჩვენ ეცდილობთ, პლიტტიკურ უფლებების შემოკებასთან, ხალხის ღარიბი ჯიბეც რომ მთლათ არ გამოკარგილდესო. ამ მოსაზრებით ჩვენ შემოგვაქვს წინადადება, რომ მთელი სახელმწიფოში შემოსავალზე პროგრესიული გადასახადი დაწესდეს და ყველას, ვისაც

წლურათ რვა თას მარჯზე მეტი შემოუღის, შესაფერი წილი ეღოს ფლორის ხარჯების დასაფარავ გადასახადში, როცა ფლორის ბიუჯეტი ჩვეულებრივ (წრე-ვანდელ) ჯამს აკილებსო.

ერთი შეხედვით სოციალ-დემოკრატიის წინადადება ცენტრის პროექტს თითქო ეთანხმება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ნაშეღალათ კი მათში დიდი განსხვავებაა. ცენტრ-ს წინადადებით, შემოსავალზე დაწესებული გადასახადი მთავრობას მაშინ უნდა აეკრიფა, როცა სახელმწიფოს შემოსავალი ე. ი. ხალხის ბევრა და სადამოკრწო ბაგი ფლორის ხარჯებს ვერ გაწევნობდა. მაშასადამე, აქ ერთი ნახევრათ დაფარული ხარკით; მთავრობას შეუძლია ბაგი გადიდოს და ამით ფლორისთვის საჭირო ხარჯები შეივსოს, სადამოკრწო ბაგის აწევა ხომ ისევ ხალხს უნდა დაწვეს კისერზე. სოციალ-დემოკრატების წინადადებაში კი ნათლათ ნათქვამია: მოციროფოს ახლათ დაწესებული გადასახადი, როცა ფლორის ხარჯები წრე-ვანდელ ბიუჯეტის ჯამს აღემატებაო. ცხადია, მუშათა პარტიის წინადადება ნამდვილ დემოკრატიულია და მართლა ხალხის ინტერესს იცავს.

ეს ხომ ასე, მაგრამ ახლა იკითხეთ: რა ჰქნა მთავრობამ, ან რომელ პროექტზე შეთანხმდნენ პარტიები? თავისუფალ მოაზრეთა და სოციალ-დემოკრატთა წინადადება კომისიამ მაშინვე უკუ აგდო.

დარჩა ლიბერის მკლე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცოტა რისამე მაინც გამკეთებელი წინადადება. მთავრობა ამაზე ცოტა შეჩერდა და ლიბერს, რომელიც მას ასე ფერტლმენურათ მოექცა, უცებ უარი არ სტკიცა. ერთი ორიოდ კვირა ულოლიფა და შემდეგ უარიც გამოუტყდა. მთელ სახელმწიფოში შემოსავალზე გადასახადის შემოღება ყოველთა მოუხე-რხებელიაო. ასეთი გადასახადის და წესების უფლება თვით მოკავშირე სახელმწიფოებმს აქეთო და ამიკომ, შენი წინადადება რომ მივიღოთ, ამით კონსტიტუციას დაეარღვეეთო. თავის მხრით მთავრობა ამინდებს რებისტავს, რომ რაც ხაზინას შემოსავალი აქვს, ისიც კარვათ ეყოფა ფლორის ხარჯებსო. თუ ვინიცოდაა არ ეყო, იგი მაშინ სახეში იკონიებს, რომ ამის შესასქები ფული ღარიბ ხალხს არ დაწვეს კისერზე და რომ ეს მდიღრებს აკისრებინოსო....

და ასე ყინულზე დაწერილი დაპირებით ხალხის წარმომადგენლებს ისტუმრებს. რას შერება ამ ღრას პარტიათა უმრავლესობა, რას შერება ცენტრი? თავისუფალ-მოაზრენი და სოციალ დემოკრატები პროტესტს აცხადებენ, კონსერვატორები და ლიბერალები

სიამოვნებით ილიმებიან... ლიბერი ნაწილს, რამ მთავრობამ მისი პროექტის მიღება შეუძლებლათ ცნო და... მთავრობის თბილ სიტყვას ეთანხმება... მაშალა, ცენტრის ერთი ნაწილი, უფრო ბავარის-ლები, ლიბერს არ მიჰყვება და მის მოქმედებას სასტუკ კრატკას უშერება, მაგრამ ამით ფლორის პროექტს არა დაუშავებდნარა, რადგან ცენტრის პარტიის უმრავლესობა მაინც ლიბერის მხარეზეა.

ასე და ამ გვართ ვილქლმის პროექტი კომისიამ მიიღო. ამაზე ამ ორიოდ დღეში მთელ რენსტავს ექნება მსჯელობა. ეს მსჯელობა შეეება კანონ-პროექტის წერილმან მხარეებს და დაბოლოს კიდევ მიღებულ იქნება და დაკანონდება. ეს დაკანონება ნიშნავს მთავრობის გაძლიერებას, მთავრობის გაძლიერება კი იგივე მონარქიული ძალის გამაგრებაა. არა ნაკლებ გამაგრებულ და გაძლიერებელია ფლორის სიზრველ თვით ბურჟუაზისთვისაც, მისი შინაური მტერი—მუშათა კლასია, ვართუკი—მასავით ბზრას მქებნელი სხვა სახელმწიფოათა ბურჟუაზია და ისეთი „ეკლური“ ხალხები როგორაც ეს, მაგალ, ჩინეთათ. ფლორის საშუალებით ეს ფიქრობს ზურგის გამაგრებას და მომავალში ბრძოლის თავის სასარგებლოთ მოგებას.

მაშასადამე ამ ორი ძმობილებს—მთავრობის და ბურჟუაზის—ერთათ სელა აფილი გასაკებია. აქ მათი ინტერესები შეერთებულია. მხოლოდ რისთვის იცავს აქურა ბურჟუაზიელ წოდება ამავე პროექტს და რისთვის მიჰყვება ზურგში ბურჟუაზის? რასაკვირველია, არა ბურჟუაზის სიყვარულით. ის უერთდება ბურჟუაზის მაშინ, როცა ამას კერძო მისთვის ზარალი არ მოაქვს და ამით მეფის ნება კი სრულდება. ფლორის გადიღების პროექტი იმპერატორისგანაა წარმოდგენილი. იმპერატორი და მეფე კი კეთილშობილი წოდებისთვის ისეთი ძალაა, რომლითაც ყველაფერი იწყება და ყველაფერივე სრულდება.

ამასთან ნუ ფიქრებთ, რომ ვითომ თავისი საკუთარი ინტერესებისთვისაც არ ფიქრობდეს და არ ცდილობდეს აქაური თავდაზნაურობა. ცდილობს და იბრძვის კიდევ, როგორ არა. თუ რაში გამოიხატება ეს ცდა,—ამაზე საუბარი შემდეგ წერილში გვექნება.

ფ. ბატრაიჭიალა.



„ბ ა ბ დ ო კ ი“....

(საღდგომო ეტიუდი)

ტირის მია, სტირის, ¹⁾ ცრემლგები ევლარ შუეუენგებია. ან კი როგორ არ უნდა იტიროს, როდესაც თავის საყვარელ ბაბდოს, თერთმეტის წლის უმანკოს, ბალიშზედ უგარძრობლად გადასვენებულს დასცე-

რის?...
— ბიჭებო, მავათ ძარს ²⁾ თავი დაანებეთ, შინ მწუხარე ჰყავთ. — შემოგესმა გარედგან ხმა.

— ეინა ჰყავთ მწუხარეთ? — დეკითხა მეორე ხმა.
— ეინა და საწყალი ბაბდოა...
— საწყალი!...

ამ ლაპარაკზედ მიას გული უფრო აუღულდა და ცრემლგებმა თვალთავან ნიაღვარსავით დენა დაუწყო.

— მაშ ენის ძარი წავიღოთ?... — ალაპარაკდნენ ისევე გარედ.

— ენის და ბერუკანთ ძველი ძარი უკდიათ გარედ და ის წავიღოთ.

— ჩემი ძარი წაიღეთ, ჩემი!.. თუ ჩემი ბაბდო არ მყოლობა, გინდ ე ქობიკ დაწვით!... — წამოიძახა თვალ-ცრემლიანმა მიამ, მაგრამ გარედ ხმაურობა შესწყდა.

დარჩა მია ისევე ყრულ თავის ოთახში. ხმის გამცემიც აღარავინ არის. ან კი ეინ წამოიკლიდა აღდგომა ლამეს მიასთან მისასვლელად, ხმის გასაცემად? ყველა აუღდგომისთვის ემზადება, ყველა...

— ო-ო-ო-ო!... — ყრულ შემოგესმა მიას ეკვლევისის გალოენიდან ყიენი.

— შეილო, შეილო, რატომ შენკი იპათთან არ ჰხარობ? ჩასძახა მიამ ბაბდოს და მუხლებზედ ხელები მაგრად დაირტყა.

ჩქარა ეკვლევისის გალოენი მთლად განათდა. ცეცხლის ალი ეკვლევისის წვერს სწედებოდა; ³⁾ ცო-

¹⁾ ბუტრისის თსოვით მისი მართლ-წერს და-ნუქობა

რუდექტ.

²⁾ დიდი გოდარი, რომელსაც დაუგესპეკ სიმინდის შესანასავად ხმარობენ.

³⁾ ბუერ სოფელში ქრისტეს აღდგომა ღამეს კე-

ტაოდენი შუქი მიას ოთახი სარკმელსაც მოხვდა და იქ ხატის წინ მბეჭუტე კანდლის შუქს წერეთ-და. ამ გარემოებამ მია გამოარკვია და საცემლისკენ მიახედა.

— და, და, და, რასა გებდავ, შეილო, რასაა?! შენც ხომ გიყვარს, შეილო, აღდგომა ღამეს ცეცხლის გარშემო სირბილო, შენ ტალ-ამანავებთან ცეკობა, მაშ ეხლა სახლში რას აკეთებ?! — სიმწევეთ ჩასძახა მიამ ბაბდოს და გულში ჩახებუტა.

— ქოანაა!.. — შემოსძახა პირველმა ხმამ შიგ კარებში; მეორემ და ბანა შებოქეს პირველი ხმა და მწყობრად, დღილი პარპოზით განაკრძეს ერთად:

„ღაჲთასა ზღაჲთასა
ჩამოგვიღებ გაღაჲთასა;
ქაღა ერთი კვერცხი ჩადე
ღმერთი მოგვქმს პარქასასა!...“

— ჩემო ბაბდო, აღე კვერცხები გაუტა, შენ გენაცელოს დედა, შეილო! — სიყვარულით ჩასწორებულა მიამ ბაბდოს და იმის გავლენებულ ტუჩებს თავისი შეხბო.

მომღერალოთ უეცრივ შესწევით სიმღერა. ცოტა ჩუქნულის შემდეგ ფეხ აკრეფით წაიღნენ.

— საღ მიხვალთ, საღა?! — მიამ თავი კარებისკენ მიიღო და მიძახა, მაგრამ მომღერლებმა ევრ გაიგეს.

— ყველა თავს გენებებს!.. მწარის ღობით წარმოსთქვა და თავისი მორღვეული თვალები ბაბდოს მიაყრდო, რომელიც ამ დროს ტუჩებს აცემკუნებდა და დრო გამარჯვებით გაუგებარ სიტყვებს გაიძახდა.

მია არ ჰშორდებოდა გვერდიდან. მალი-მალ მუბღზულ, გულზედ, ხელზედ წყალსა და ძმარს უსვამდა. ბაბდო კი მინც ბარგავდა, სიტყ არა ჰწელოდებოდა.

პირველად მამლებმა რომ იყილეს, ბაბდო დამ შეიღდა სიტყმ დაუშო. მიას გუხარდა. ბაბდოს სუნთქვის თვალყურს ადევნებდა. თვალ-ყურის ვდებამი თავი ჩამოეკიდა, თავის უნებურად, იქავე, ბაბდოს გვერდით, მიწვა და უნებურადც ჩაქინა..

— დედი, დედი!.. — შემოგესმა მიას ხმა და დავფეთიანებული წამოეკრდა.

— შეილო, რას შერებნი?! — წამოეკარდნის უშვალ მოხვბია ხელები წამოჩოქილ ბაბდოს და გულში ჩაიკრა.

— გამიშვი, გამიშვი, მინდა წაიდე!

ღესისის გაღაგანში დიტონისათვის ზარბის დარქამდის დიდი ნეტლი უნთათ. გარს თითქმის მთელი სოფლის ახალგაზრდა, ჰელი და ვაჟი, ეკუეპ. ძეკრან, ღხინობენ, როგორც დღეობაში.

წერილი რედაქციის მიმართ.

— სადა?.. ჩამოკრებს ამდროს დიდ ზარსა. *) აყოლეს წერილი ზარებზე.

— ავერ იქ!.. მეძახის, ვერ ჰხედავ?.. — ენა, შეილო? აქ არაფერ არის!.. აღდგომაა, ზარებს რეკენ!

— აღდგომაა!..—თვალები მავრად ჩახუტა და შუბლი შეეჭუმუნა. თავი დეღის კირის მიაპლო და... დიღანას იყო ასე. ზარების ტყეა შესწყდა. გალავან-

ში მცედლის წინამძღოლობით ხალხი სიხარულით ეკვლესიას ვარს უფლის, მრაველი სანთლის შუქი აიჩრადნებდნენ ეკვლესიას და მის არემარეს. შედეგელი და შეფსალომუნე „ქრისტე აღზდვას“ გალობენ. ხალხი ხარობს, „ქრისტე აღზდვას“ ვიძახის...

— დედა, ვერ ჰხედავ იმას?! — არაფერ არის, შეილო! — შენ გინაცავალი!.. თითქოს გული თან ამო-ატანო, ისე წარმოსტევა ბაბდომ.

— მე უნდა გენაცავო, შეილო, შენ კი არა!.. — დედი, გამიშვი!.. — სადა?.. — ვერ ჰხედავ, მეძახის! ავერ როგორ ბრწყინავს, ავერ... ავერ?!.. ქრისტე აღზდვას.. ბრწყინავს!.. ის მეძახის!.. ავერ!—წამოიწია და თითი მაცხოვრის ხატისკენ გაიშვირა, რომელიც მარჯვნივ აღმოსავლეთის კუთხეში ესვენა.

— რას მომცემს ის ქრისტე, რომელიც მე ჩემს ნუკეშს მართმევს!.. — სსს!..—მწარედ წაისისინა და დედას ტუჩებზე დ ხელი მიაფარა.

— აბა სად არის?!.. მე იმას.. — სსს!.. — კიდევ წაისისინა და უფრო მავრად დააფარა ხელი.

— შეევედრე!.. შეევედრე!.. — ის...ის...განუ...ზა...შეს... — თუანასკნელი ასოები სულ მკრთალად წარმოსტევა და მოლეშით დედას მიესვენა...

გათენდა. ფრინველთ შესწყვეტეს დიდებულნი ჰანის ვალობა და კერძოდ თეთვალის სიმახარულეს მიეცა. ზემო ნაზი სხივები უხვად უძღვნა ადამის შთანამებელს, რომელიც მხიარულებით ერთმანეთს ქობსტეს აღდგომის ულოცავდნენ. მღვდელიც დასაღმუნით შევიდა მაისს ოთახში და დიწყი:

„ქრისტე აღზდვა მკვდრეთით...“ და ბაბდოს რომ თვალის შესწრო, ვალობა შესწყვიტა...

„ქრისტე აღზდვა!..“ — ყველა მტუყველი ამას ვაძახის... ქრისტე აღზდვა, მავრამ ბაბდო კი..

შ. არაკვასშირედი.


*) სოფლებში დამის 12 საათზედ კი არა ჰქრეკენ ზარებს აღდგომა ღამეს, განთიადისას.

ბატონო რედაქტორო! „ეკვლას“ მე-13 №-ში არის დასტამებული ძრვიელ საწყუხარო ამბავი სოფელ ვანისკედში მომხდარი, ვითომც ზღაღონან მღვდელეს შ. კიდეურაძეს მოეღას ქვედელი აღეჭია ვაში. ეს ამბავი თავიდან პოლონელის სამართლეს მოკვლეულად ის არის განკუთმებული ბატონოც განზრახვით; ამ საწყუე წარმოქმნის გამოძიება, რომელიც, იქვდაა დაბტვიდება ნამდვილი სიმახრელი. **)



„კვალის“ ფოსტა.

ქ. ოხერგუთოში. ბ. მის. თქნახიშვილს. თქვენი „ღია წერილი ბ. ლუკა ხუნდამის მიმართ“ მივიღეთ, მაგრამ არ ესტამავთ. ამის მიზეზია ის არის, რომ ვერაფერ დავიკვანებეთ და ასედა არავისთვის სასტრუქუსო არ უნდა იყოს ამის გაგება, რომ თქვენ არც ერთი პარტიკის არ ეკუთვნოდით, რაგვ „შეამაჯდეს“ გამკეს ინსერტებს შექველია ბ. ხუნდასკენ დაკეთანსებუთ თანში, რა კი თქვენ ასედა, თუმცა გეინან, ასე ჰდაბრუთ.



შინაარსი: ცოცა რამ ესტორიდან ნ. ფოდანასი. — დატემეს და აღდვა, ლექსი კ. გოგოლაძისა. — აღდგომა და შიშვილება, სადღვლობა მოხარობა განდგვილისა. — გვირიდან ვიკრადე — ელფონოზი. მარკს-ეველინი. — სამეცნიერო საუბარი მანკველისა. — რუსეთი (ქრონიკა) — ქსია. — გერმანიის ამბავი და პეტროპოლისა — ბაბლო კი. შ. არაკვასშირედისა. — წერილი რედაქციის მიმართ. — ეკვლას“ ფოსტა.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართული წიგნის მაღაზრებში მ. ა. ბარსაღლიანის მიერ გამოცემული ახალი წიგნი

საამბროუო გამოუხანავი

(ზმა კიდურები ჩვენს მოღვაწეებს) თ. ნ. ტ. და დიდიან... წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ღირს 15 კაპი ვინც ას წიგნს ერთად იყიდის გამოცემლისაგან ქ. ქუთაისში დაეთმობა მანეთზე ერთი კაპი.

(10-6)

*) საიამოვნებით ესტამავთ ამ წერილს და სულით და გულით ვისურვებთ ეს ასე გამართლებულიყოს.

რედ. რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. - წერეთლისა.